უფლების დათმობის ხელშეკრულება N 21/12/16-1

წინამდებარე უფლების დათმობის ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) შედგენილია 2017 წლის 20 თებერვალს („ხელმოწერის დღე“).

შემდეგ მხარეთა შორის

(1) შ.პ.ს. „დელტა-ნეტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 404398503), იურიდიული მისამართით: საქართველო, ქ. თბილისი გაფრინდაულის 2, კომპანია, რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოდგენილი მისი დირექტორის გია კოშორიძის სახით, შემდგომში მოხსენიებული როგორც „ცედენტი“,

(2) შ.პ.ს. „მაგთიკომი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 204876606) იურიდიული მისამართით: საქართველო, ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქუჩა 7, კომპანია, რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ანდრია ზოდელავას სახით, შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ცესიონერი“.

(3) სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 205307960) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ტორუას სახით, შემდგომში მოხსენიებული, როგორც „შემსყიდველი “

ყველა მხარე ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „მხარეები“.

ვინაიდან, შემსყიდველსა და ცედენტს შორის 2016 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით (შემდეგში „ხელშეკრულება“) N 21/12/16 განსაზღვრული პირობებისა და წესების შესაბამისად, „ცედენტი“ ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას უწევს „შემსყიდველს“ („მომსახურება“);

ვინაიდან, „ცედენტს“ განზრახული აქვს გაყიდოს „ცესიონერზე“, ხოლო „ცესიონერს“ განზრახული აქვს იყიდოს გარკვეული საოპერაციო აქტივები, რომლის საშუალებით ხორციელდება მომსახურების მიწოდება („აქტივების გადაცემა“). შესაბამისად, ცედენტს სურს, გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები ცესიონერს, ხოლო ცესიონერს სურს იტვირთოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული ცედენტის, მოვალეობები და ვალდებულებები;

ვინაიდან, „შემსყიდველისთვის“ ცნობილია „ცედენტისა“ და „ცესიონერის“ განზრახვა, „ცედენტსა“ და „ცესიონერს“ შორის აქტივების „გადაცემის“ შესახებ და ამ მიზნით, „შემსყიდველი“ თანახმობას აცხადებს, შეიბოჭოს ხელშეკრულებით და იტვირთოს ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები ცესიონერის მიმართ;

ვინაიდან, აქტივების გადაცემა განხორციელდება 2017 წლის 1 მარტს („ძალაში შესვლის თარიღი“);

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მხარეები ადასტურებენ და თანხმდებიან შემდეგზე:

1. ძალაში შესვლის თარიღზე და აღნიშნული თარიღიდან „ცედენტი“ გადასცემს „ცესიონერს“ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ყველა თავის უფლებასა და ინტერესს.

2. ძალაში შესვლის თარიღზე და აღნიშნული თარიღიდან, „ცესიონერი“ ხდება ხელშეკრულების მხარე და თანხმობას აცხადებს გააგრძელოს მომსახურების მიწოდება, ხოლო თავის მხრივ „შემსყიდველი“ თანხმობას აცხადებს გადაუხადოს „ცესიონერს“ ხელშეკრულების საფუძველზე არსებული დავალიანება/მომსახურების საფასური, რომელიც წარმოიშვა ძალაში შესვლის თარიღამდე და შემდგომ პერიოდში, აგრეთვე თანხმობას აცხადებს კეთილსინდისიერად დაიცვას მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

3. მხარეები, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, აღიარებენ, რომ მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულება და შესრულება, აგრეთვე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარიგებების შესრულება არ ეწინააღმდეგება ან არ გამოიწვევს რომელიმე მხარის სადამფუძნებლო აქტის, წესდების, ან რაიმე სხვა სახის ორგანიზაციული დოკუმენტის, აგრეთვე იმ კანონის ან/და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, რომლებიც ვრცელდება ასეთ მხარეზე, რაიმე სახის დარღვევას ან შეუსრულებლობას.

4. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმდა მისი ხელმოწერის დღეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ და ძალაში შედის ძალაში შესვლის თარიღზე.

5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე.

ცედენტის სახელით

გია კოშორიძე /_____/

DELTA NET
შპს დელტა-ნეტი
404398503

ცესიონერის სახელით

შპს „მაგთიკომი“
ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ N7
საიდ.კოდი: 204876606
ვითიბი ბანკი ჯორჯიას ცენტრალური ფილიალი:
ბანკის კოდი № UGEBGE22
ა/ა GE73VT6600000000423607
გენერალური დირექტორის მოადგილე
ანდრია ზოდელავა /_____/

შემსყიდველი
სსიპ „სსდ ცენტრი“
ს/კ: 205307960
ფაქტიური მისამართი: ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ.#117
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ.#144
დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი
საბანკო რეკვიზიტები:ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
შიდა ანგარიში - 200122900
სახაზინო კოდი - 3503030702

„შემსყიდველის“ სახელით

დავით ტორუა /_____/

სსიპ სამედიცინო დაზღვევის ცენტრი
* 205307960 *

ვიზირებულია:

ა. შეყილაძე _____

გ. ტარუღიშვილი _____

ვ. ჭანიშვილი _____

გ. თოფურია _____

გ.აბულაძე _____

შემსრულებელი:

ლ.თავაძე _____